სწორად მოქცევის 10 ძირითადი უფლებადაცვითი სტანდარტი სამართალდამცავი ორგანოებისათვის

ეს ძირითადი სტანდარტების მოკლე შინაარსია, რომლებიც საერთაშორისო ამნისტიამ სხვადასხვა ქვეყნის პოლიციელებთან და ექსპერტებთან ერთად ჩამოაყალიბა. ისინი დაფუძნებულია გაეროს სტანდარტებზე სამართალდამცავი ორგანოების, სისხლის სამართლის პროცედურებისა და ადამიანის უფლებების შესახებ.

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება კანონისაგან თანასწორად დაცვაზე, რაიმე ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე, განსაკუთრებით ძალადობისა და მუქარისაგან. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეთ მოსახლეობის პოტენციურად დაუცველი ჯგუფების – ბავშვების, მოხუცების, ქალების, დევნილების, გადასახლებულებისა და უმცირესობების წარმომადგენლების დაცვას.
2. დანაშაულის ყოველი მსხვერპლის მიმართ გამოხატოს თანაგრძნობა და პატივისცემა, განსაკუთრებით დაიცავით მათი უსაფრთხოება და პირადი ცხოვრება.
3. არ გამოიყენოთ ძალა, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ეს განსაკუთრებით აუცილებელია და მინიმალურად აუცილებელი მოცულობით.
4. თავი აარიდეთ ძალის გამოყენებას უკანონო, მაგრამ მშვიდობიანი შეკრებების წინააღმდეგ. შეკრების დაშლისა და ძალადობის გამოყენების დროს ძალა გამოიყენეთ მინიმალურად აუცილებელი მოცულობით.
5. სიკვდილის მომტანი ძალა გამოიყენეთ მხოლოდ იქ, სადაც ეს აბსოლუტურად გარდაუვალია, თქვენი ან სხვა ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად.
6. დაპატიმრება განახორციელეთ მხოლოდ საკმაო საფუძვლებით და დაპატიმრების კანონიერი პროცედურების დაცვით.
7. თვალყური ადევნეთ, რომ ყველა დაკავებულს დაპატრიმრებიდან მოკლე ხანში მიეცეს ნათესავთან ან იურისტთან შეხვედრის შესაძლებლობა, აგრეთვე მიიღოს აუცილებელი სამედიცინო დახმარება.
8. ყველა დაკავებულს მოეპყარით ჰუმანურად. არც ერთ შემთხვევაში არ ჩაიდინოთ, პროვოცირება. არ ჩაიდინოთ და მხედველობიდან არ გამოგრჩეთ წამების ან სისასტიკის ფაქტები. ასეთი ქმედებების ჩადენის ბრძანებები შესრულებას არ ექვემდებარებიან.
9. არ ჩაიდინოთ, არ უბრძანოთ და არ დაფაროთ სასამართლოსგარეშე სიკვდილით დასჯები და „გაუჩინარებები“. ასეთი ქმედებების ჩადენის ბრძანებები შესრულებას არ ექვემდებარება.
10. ძირითადი სტანდარტების დარღვევის ყველა შემთხვევის შესახებ აცნობეთ პოლიციის უფროსსა და პროკურატურას. გააკეთეთ ყველაფერი, რაც შეგიძლიათ, მსგავსი დარღვევების გამოძიების უზრუნველსაყოფად.

საერთაშორისო ამნისტია (1998 წლის დეკემბერი), *სწორად მოქცევის 10 ძირითადი უფლებადაცვითი სტანდარტი სამართალდამცავი ორგანოებისათვის,* 30/04/98. ლონდონი.